# ხელშეკრულება მომსახურების
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №81

**ქ. თბილისი** **15 მაისი 2017 წელი**

ჩვენ, ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი, მდებარე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2-ში (შემდგომში– შემსყიდველი), წარმოდგენილი უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ელეონორა კაპანაძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ, შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი“ (შემდგომში– მიმწოდებელი), მდებარე: ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქ.№6, წარმოდგენილი დირექტორის ზუბიკო შავდათუაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი*

1.1 შესყიდვის ობიექტი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში 2016 წლის 22 ნოემბრიდან 2016 წლის 25 დეკემბრამდე ჩატარებულ ინვენტარიზაციის შედეგებზე აუდიტორული მომსახურების გასაწევად, ასევე საინვენტარიზაციო კომისიის მიერ მომზადებულ ჩამოსაწერ და შესაფასებელ ძირითად აქტივებზე აუდიტორული დასკვნის გაკეთების მომსახურების შესყიდვა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
1.2 კლასიფიკატორის კოდი: 792 000 00; 792 120 00.

## *2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

2.1 გაწეული მომსახურების ფასი განისაზღვრება: ლარში.
2.2 გაწეული მომსახურების საერთო ღირებულებაა- 4 500 (ოთხიათასხუთასი) ლარი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა და გადასახდელის, ასევე ყველა ხარჯის, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან) ჩათვლით.

## *3. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი*

3.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება: ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.
3.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი.

## *4. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი*

4.1. მომსახურების ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. მომსახურების ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.
4.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია წერილობითი სახით, აცნობოს „მიმწოდებელს“ საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურებისა და წუნდების მიზეზის მითითებით.
4.4. მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციას დაურთოს აკრედიტირებული საექსპერტო დაწესებულების (ექსპერტის) მიერ

გაცემული დასკვნა, რომლითაც დასტურდება მომსახურების ღირებულების შესაბამისობა საბაზრო ფასებთან.
4.5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას განახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი (ხ.ბენდელიანი).

## *5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

5.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:
- შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
5.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:
- დროულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
5.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
- მოსთხოვოს „შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
5.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- დროულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

## *6. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი*

6.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
6.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
6.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## *7. ანგარიშსწორების პირობები*

7.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
7.2. ანგარიშსწორების განხორციელდება მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის შემდეგ, აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
7.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მიღება-ჩაბარების აქტი.

## *8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას*

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით. შეტყობინებაში მითითებული

უნდა იყოს დამატებითი ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.

8.3. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

## *9. ფორს–მაჟორული სიტუაციები*

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9..2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## *10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების ხარისხის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა – ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.

10.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ, „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ მომსახურების ნაკლს წუნდების მიზეზების მითითებით.

10.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის” მხრიდან ანხორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლები.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

11.2 თუ მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის უშედეგოდ გასვლის შემდგომ დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოს.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

12.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 19 ივლისის ჩათვლით.

12.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

ბ) ამ ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნების „მხარეთა" მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

13.2. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.3. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.4. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი
მის: ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი: TRESGE22
ა/ა GE 24 NB 0330 1002 0016 5022
ს/კ 204 495 055

**ელეონორა კაპანაძე**

**მიმწოდებელი:**

შპს „თი აი ჯი აუდიტესკორი"
მის: ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქ.№6
სს „საქართველოს ბანკი"
ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა GE 47 BG 0000 0002 9479 1500
ს/კ 205 229 439

**ზუბიკო შავდათუაშვილი**

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
SERVICE FOR ACCOUNTING, REPORTING AND AUDITING SUPERVISION

# ბრძანება

N 167
01/12/2016

## აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი"-ს რეგისტრაციის თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს წარედგინა შპს ,,თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი"-ს (მეწარმე სუბიექტის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის N205229439, წერილის N247859/21-11; 24.11.2016წ., იურიდიული მის: ქ.თბილისი, დოლიძის ქუჩა, კორპ. N28, ბინა N1), წარმოდგენილი დირექტორის - ზუბიკო შავდათუაშვილის (პ/ნ 01017018036) და გარიგების პარტნიორების - ზუბიკო შავდათუაშვილის - SARAS-A-377023 და ზვიად კობახიძის - SARAS-A-571699 სახით) სარეგისტრაციო განაცხადი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, რომლითაც მოთხოვნილია შპს ,,თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი"-ს რეგისტრაცია აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში.

,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-5 პუნქტის ,,ა" და ,,გ" ქვეპუნქტების, ,,ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2016 წლის 28 ოქტომბრის N17 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დასრულდეს შპს ,,თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი"-ს სარეგისტრაციო წარმოება.
2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.

მერაბ ალექსიძის #1,
საქართველო, თბილისი, 0193
ტელ: (032) 2 26 11 92

#1 Merab Aleksidze st.
Georgia, Tbilisi, 0193
Tel: (032) 2 26 11 92

3. შპს ,,თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი"-ს მიენიჭოს აუდიტორული (აუდიტური) ფირმის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-240968

4. გადაწყვეტილება გაეგზავნოს შპს ,,თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი"-ს ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

იური დოლიძე

სამსახურის უფროსი
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

შეფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის სერტიფიკაციის ორგანო

VALUERS AND EXPERTS PROFESSIONAL DEVELOPMENT CENTER CERTIFICATION BODY

certification.org.ge

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს — აკრედიტაციის ცენტრის აკრედიტაციის №GAC-PC-0007

**ISO/IEC 17024:2012/2014**

# შეფასებელის სერტიფიკატი

სერტიფიკატის მფლობელი: **მინდია ტაბაღუა**

პირადი № 01026016897

## მატერიალური მოძრავი ქონების შემფასებელი

საფუძველი: სერტიფიკაციის სქემა №3

სერტიფიკატის № **P-0129**

სერტიფიკატის გაცემის თარიღი: 12.10.2016

სერტიფიკატის მოქმედების ვადა: 12.10.2018



პროფესიული სერტიფიკაციის ორგანოს ხელმძღვანელი

**Head of Professional Certification Body:**

Accreditation No.GAC-PC-0007

Ministry of Economy and Sustainable Development - The National Body of Accreditation – Accreditation Center

**ISO/IEC 17024:2012/2014**

# CERTIFICATE OF COMPETENCY

Certificate issued to: **MINDIA TABAGUA**

Personal No. 01026016897

## TANGIBLE PERSONAL PROPERTY APPRAISER

Base: **Certification Scheme No.3**

Certificate No. **P-0129**

Issuance date: **12.10.2016**

Expiration date: **12.10.2018**

ნ. მახარობლიძე

**N. Makharoblidze**

სეფეი

საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტი

EXPERTISE INSTITUTE FOR VALUATION OF ASSETS OF GEORGIA

# უძრავი ქონების შემფასებლის სერტიფიკატი

№ 016

# CERTIFICATE OF THE REAL ESTATE APPRAISER

ტაბაღუა მინდია

Mindia Tabaghua

გამგეობის თავმჯდომარე

Chairman of the board

გ. ხმალაძე

G. Khmaladze

EXPERTISE INSTITUTE FOR VALUATION OF ASSETS OF GEORGIA

სეფეი

რეგისტრაციის თარიღი: 08.08.2016 წ.

ძალაშია: 08.08.2019 წ.

სსიპ

სსიპ

# სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი

## საჯარო სექტორის აუდიტორის

# სერტიფიკატი

ეს სერტიფიკატი ადასტურებს, რომ

## ირაკლი ყენიამ

პირადი N 60002003805

წარმატებით გაიარა სერტიფიცირება და მოიპოვა საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების განევის უფლება

სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის
დირექტორი

დავით აზმაიფარაშვილი

სერტიფიკატის N 0004
სერტიფიკატის გაცემის თარიღი: 23.07.2013
მოქმედების ვადა: 23.07.2018